




სალიტერატურო და სამეცნიერო ნახაზებიანი ზაზეთი. ზაფხულის უკეთეს კვირა დღეს.

№ 36

აპრილის 20, 1895 წ.

№ 36

შინაარსი: ალექსანდრე ვოლტა. — სხვა-და-სხვა ამბები. — სწეული (ლექსი) აკაცისა. — სოფლის აგ-არგო, ა. კორცე-ლისა. — ზედაგორელი წარ-ღები (წერილი პირველი) დ. ბოცვაძისა. — ორი სიყუცა თავ. დ. ერისთავს. — საშინელი ქარიშხა-ლი; დღუ შერეულსა. — ს. ვაზი, ერთი შემოწირველთაგანისა. — წერილი რედაქციის მიმართ. — განცხადება.



ალექსანდრე ვოლტა



ვოს თებერვალში შესრულდა 150 წ. ალექსანდრე ვოლტას დაბადების აქეთ. იგი დაიბადა 1745 წ. 19 თებერვალს იტალიის

პატარა ქალაქში, კომოში. ვოლტა შესანიშნავი მეცნიერი იყო. მისი სახელი უკედევია მით, რომ იგი პირველი იყო, რომელმაც ვალვანური ელემენტი გამოიგონა (ელემენტი ქიმიასში არის უბრალო სხეული, რომელიც მხოლოდ ერთი ნივთიერებისაგან არის შემდგარი, მაგ: წყალმზადი ელემენტი; აგრეთვე ჭანგ-მზადიც ელემენტი; ეს ორი მარტივი სხეული რომ შეერთდება, წყალს შეადგენენ; ფიზიკაში კი ელემენტათ იწოდება ის ჭურჭელი, რომელიც ელექტრონულ ჰველს (електрический ток) იძლევა; ასეთი ჭურჭელი ზეგვეგარია სხვა-და-სხვა მეცნიერთაგან გამოგონილი. პირველი ელემენტი კი ვოლტას ეკუთვნის და მას აქვე აწერეთ). ამ ელემენტს ვოლტას ბოძი ეწოდება. მართალია დღეს ელექტრონული ჰველის მისაღებათ ამ ელემენტს დიდი შინაწეულობა აღარ აქვს, მაგრამ პირველათ ამ ახლათ გამოგონილმა ელემენტმა მეცნიერებას დიდი სამსახური გაუწია. მას შემდეგ შეიქნა შესაძლებელი წყლის განაწილება, სინათლის ხელოვნურათ მიღება და გადადნობა ძნელ — სადნობი ლითონებისა და სხე... ასეთი მეცნიერის ბიოგრაფია, საჭიროა, ეცოდეთ მოკლეთ მაინც.

ვოლტას მშობლები შეძლებულნი და განათ-

ლებულნი იყვნენ. ამიტომ, რადგან ლუქმა პური ს-
ძებნი არა ჰქონდა, ვოლტა მთელი თვისი გულმო-
დინებით შეუღდა ბუნების მოვლენათა ახსნა-გა-
მოკვლევას: მისი ყურადღება მიიპყრო ფიზიკამ და
უფრო ფიზიკის ერთმა ნაწილმა—ელექტრონიკამ.
აღრმა ახალგაზრდაშივე ბევრი ესა თუ ის ახალი გა-
მოკვლევა აღმოაჩინა ამ მოვლენაში, მაგრამ მეცნი-
ერები მაინც ყურადღებას არ აქცევდნენ. ხოლო 1771
წ., როცა მან გამოაქვეყნა თვისი თხზულება ელექ-
ტრონის ქველის მისაღებ სხვა-და-სხვა საშუალება-
ზე, მეცნიერებმა თვისი ყურადღება მიაქციეს. ამავე
წლიდან იწყება ვოლტას წინ-სვლა სამსახურშიაც.
1772 წ. ვოლტამ კომის საკოროლო შკოლაში
ფიზიკის პროფესორობა მიიღო. აქ მოიგონა მან
ელექტროფორი, ელექტროფორი მანქანა, რომლის
საშუალებით აგრავებენ და თავს უყრიან ელექტ-
რონსა. ეს მანქანა დღემდე ხმარებაშია კიბიკოსთა-
გან, როცა მათ აფეთქება მოუვლდებათ ელემენტრ-
ში (ესეც ვოლტას მოგანილია) ერთმანეთთან არეუ-
ლი გაზების ელექტრონის ნაბერწკალით. 1776 წ.
ვოლტამვე მოიგონა ახალი მანქანა—კონდენსატო-
რი, რომელს შემწეობათაც ძლიერ-ძლიოზის შესამ-
ჩნევი ელექტრონული ქველი ძლიერდება და შესამ-
ჩნევი ზდება. ვოლტას სახელი უფრო შორს გაითქვა მას
შემდეგ, რაც იგი ევროპაში მოგზაურობდა. 1779 წ.
პავიის უნივერსიტეტში გადიკვანეს პროფესორათ,
სადაც დაყო 1819 წლამდე.

ელექტრონობის კვლევა-ძიებას კიდევ უფრო
ღრდი გულ-მოადრინებით შეუღდა ვოლტა მას შემ-
დეგ, როცა ანატომიის პროფესორმა ბოლონის უნი-
ვერსიტეტში, ალოიზიო ვალვანიმ გასაოცარი გა-
მოკვლევა გამოაქვეყნა. 1786 წ. ვალვანიმ ბაყაი
მოკლა, მისი გატყაული ბარძაყი სპილენძის კანზე
ჩამოკიდა რკინის ბირკილებიან ხაზიანზე. ამ დროს
ვალვანიმ შეამჩნია, რომ, როცა ბარძაყი რკინის
ბირკილებს მიედებოდა, მაშინვე კუთები (მუსკულე-
ბი) შეიკუმშებოდნენ. ცდა რამდენჯერმე განიმეორა
და დარწმუნდა, რომ კუთები მაშინ უფრო ძლი-
რათ იკუმშებიან, როცა მათ შევერთებთ ლითო-
ნის ოდრიალით (ყურა). წელის ნერვებს (ინოზი).
ვალვანიმ ეს მოვლენა იმას მიაწერა, რომ ცხოველს
თავისი საკუთარი ელექტრონობა აქვს, ეს ელექტ-
რონული ქველი ლითონის ოდრიალის საშუალებ-
ებით ნერვებიდან მუსკულებზე გადადის და ამიტომ
იკუმშებიან. მეცნიერებმა და უფრო ფიზიოლოგებმა
გაგონეს ეს თეორია მიიღო, ხოლო ვოლტა კი
წინააღმდეგა. ეს ამბობდა, რომ ცხოველის ელექტ-
რონობა აქ არაფერ შუაში არის, ელექტრონობა
აქ ეთარდება იმიტომ, რომ ნერვებისა და მუსკუ-

ლების საშუალებით ორი სხვა-და-სხვა ლითონი
ერთმანეთს უერთდებიან. ფრიად ცხარი კამათობა
ატყდა: ერთმანეთს ბეგრი რამ უკადრისეც კი აკად-
რეს. მაგრამ ბოლოს მაინც ვალვანიმ გაიმარჯვა და
დღესაც მისი თეორია მიღებულია ფიზიოლოგიაში.
ვალვანიმ ასეთი ცდა მოახდინა, რომელიც სიტყვის
შეუბრუნებლათ ამტკიცებს, რომ ცხოველს თავისი
საკუთარი და დამოუკიდებელი ელექტრონი აქვს:
ბაყაის ორივე ბარძაყის ნერვები ერთმანეთს დაადო,
და ელექტრონული ქველი კი მიიღო. ამნაირათ ამ
კამათში ვოლტა დამარცხებული იქნა, მაგრამ ამ
კამათობის გამო მან შესანიშნავი მანქანა გამოიგო-
ნა—ვოლტას ბოძი 1800 წ. ეს ბოძი ამ გვა-
რათ მოაზნადა: რამოდენიმე ფირფიტები თუთიასი
და სპილენძისა ერთმანეთს დაადო და მათ შორის
მოათავსა მუდის ნაჭკები, რამემდენც მომავლელ
წყალში იყვნენ დასველებულნი; მერმე მათულოთ
შეუერთა სპილენძის პირველი (ქვედა) ფირფიტა
თითუეს უკანასკნელ (ზედას) ფირფიტას და ამნაი-
რათ მიიღო ელექტრონული ქველი. ვოლტას ბოძს
დღესაც ასე ამზადებენ, ხოლო დღეს იგი, როგორც
ზვეით ეთქვით, ხმარებაში აღარ არის. მუდის ნაჭ-
რები ყოველთვის სველი უნდა იყვნენ, თარემ თუ
გამშრალნი არიან, მაშინ ელექტრონული ქველიც
ისპობა.

ამ მანქანას შემდეგ შესაძლებელი შეიქნა ელექ-
ტრონობის სხვა-და-სხვა თესვების კვლევა-ძიება. მა-
რთლაც მეცნიერნი შეუღდნენ, და 1808 წელ-
ში ინგლისის მეცნიერმა, ჯუშუერი ლევიმ აღმო-
აჩინა ასე წოდებული ავოლტას ოდრიალი*, ე. ი.
ნათელი ოდრიალი, რომელიც თავს იჩენს მაშინ,
როცა ნახშირის ორ ნაჭერში ელექტრონული ქვე-
ლი გადის. როგორც სურათიდანაც ჩანს, ნახშირის
ერთი ნაჭერი წვეტიანივე ჩრება, მეორე კი ჩლუნ-
გდება და ბრტყელდება.

ამ გამოკვლევამ მთელი ევროპის ყურადღება
მიიპყრო. თეთი ნაპოლონი ისე დაინტერესდა, რომ
პარიჟში მიიწვირა ვოლტა და მას ცდა მოახდენია.
ვოლტა ამიტომ ფულით იქნა დაჯილდოებული,
აგრეთვე მას ებოძა სამეცნიერო აკადემიის ოქროს
მედალი და წოდება ლომბარდის სამთავროს სენა-
ტორისა. 1804 წ. ვოლტამ პროფესორობას თავი
დაანება; 1819 წ. მშვიდობიან ცხოვრებას მიეცა და
თავის მშობელ კომოში ცხოვრებდა, სადაც ვადი-
ვალა 1827 წ. 81-თი წლისა. ქალაქის მცხოვრებ-
ლებმა დიდებულთ-დაქრძალეს მისი გეამი. მეცნი-
ერებმა მისი სახელი უკვედა ჰყვეს მით, რომ ვოლ-
ტა უწოდეს ელექტრონის პოტენციალის სა-
გოს.



სხვა-და-სხვა ამბები




მერეთის ეპისკოპოსი ვაზრელი 11 ამ თვის ფილტვების ანთებით გამხდარა ავით, 14 ავამყოფობა გაძლიერებია და ძლიერაც დაუსუსტებია, რის გამოც 15 აგვისტოს გელათის მონასტრიდან ძვირფასი მწყემსთ-მთავარი ქუთაისში გადმოუყვანიათ.

* *

კავკასიის ოლქის მზრუნველს ცირკულიარით მოუთხოვია სახალხო სკოლების დირექტორთაგან ცნობანი იმ ქალაქთა და სოფელთა შესახებ, სადაც სასურველია, რომ ახალი ტიპის დაბალი სახელოსნო სკოლები დაარსდეს.

* *

თბილისში ჩამოსულან ფოთის ქალაქის მოუჩრავი ნ. ნიკოლაძე და ორი ფრანგთა ინჟინერი; ერთი იმათგანი ძლიერ ცნობილი ინჟინერია ვეროპანი და ვიფელის თანაშემწეა. ბ. ნიკოლაძემ იგი უნდა წარუდგინოს მთავარ-მართებელს და მერე შეუღებონ იმ გზის მიმართულების გამოკვლევას, რომელიც კავკასიის რკინის გზას უნდა შეუერთდეს: სეანეთზე, ზუგდიდზე, ფოთამდის. ამ გზის მიმართულების გამოკვლევა მთავრობისგან ითხოვა პრინციპა კ. პ. ოლდენბურგმა და თავ. სამეგრელოსამ ნიკოლოზმა. მთავრობისგან ბ. ნიკოლაძემ უკვე მიიღო თანხმობა ამ თხოვნაზე და ამას გამო საფრანგეთიდან გამოიწვიეს ინჟინერები. („ივერია“)



ს ნ ე უ ლ ი



აბძელმა უთხრა ქარსაო:
რას მომდგომიხარ კარსაო?
ზღვის შემოიპიტან ერთ მუქას,
გაიტან ათს ძარსაო!*

„ნურც თქვენ ენობით მკურნალსა,
გადამთიელსა გრძნეულსა!*

14 აგვისტოს სოფ. ცანში (რაჭა) ერთი ღარიბი გლეხის ვენაში აღმოუჩენიათ ფილოქსერა, მაგრამ ჯერ-ჯერობით მის წინააღმდეგ არაერთი საშუალება არ მიუღიათ, რადგან თბილისიდან ელიან საფილოქსერო კომიტეტის განკარგულებას.

* *

მარიამობისთვის 27-ს აწრუნის-სეულ ქარვასლაში, სარუხანაოის „სულნი კასაში“, მოხდება საჯარო ვაქრობა (ტორლი) მცირეფასი ვერცხლო-ოქროლობისა.

ამვე თვის 31-ს პუშკინის ქუჩაზეც მოხდება ივანოის „სულნი კასაში“ აგრეთვე საჯარო ვაქრობა ოქრო-ვერცხლეულობისა.

* *

ცხენის რკინის გზის მოსამსახურეთ ბ. სანგბლიძის მეთაურობით მოუვროვებიათ არტისტი ვ. ალექსიძე-მესხიევის სასარგებლოთ 35 მანეთი, რომელიც გვეზაინება მესხიევის სამშობლოში დასაბრუნებლოთ.

* *

ჩვენ მიველეთ „წერა-კითხვის საზოგადოებისაგან“ გამოცემული „ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები“; გამოცემა მე-V. ღირს ორი აბაზი. წიგნი მოთავსებულია აგრეთვე ავტორის მოკლე ბიოგრაფია.

— ურჩევდა თურმე ვეზირი
ზაქი-ჰამია სნეულსა.—

„სიფრთხილეს თავი არ სტკივა!..
ძველებს არ უთქვამთ ტყვილალო.
საწამლაეს შემოვაპარებს
ორგული თავზე ტკბილალო.“

— ვგ არაკები სლოამონ
ბეგრისგან გამოგონია...—

ხავს ევექლები, მეც ვიცი,
მაგრამ რა მეტი ღონია?

—

შენც ხედავ, კარზე ვეადგია
ჭირი რამ გაუკითხავი!
ქონის დაღწობას ვინ ჩივს?
არც ხორცი შეგვეჩხა, არც ტყავი.

—

მოყვარე ვადამთიელი
მპირდება ვანკურნებას;
მოსულა ქრისტეს სახელით,
იფიცავს მისევე მცნებას.

—

ჩემი სატყეისის შემგნებელი
უნდა ჩემსავით იწვოდეს!..
თუ მომატყუა, იმან და
იმისმა ღმერთმა იცოდეს!

—

მგელი, თუ ძალი მგლის ფერი,
რომელიც შემეპყეს—ერთია!..
აწ ველარ გაესტებს ჩემ სიტყვას,
თავმდები თვითონ ღმერთია.*

—

ეს სთქვა და თვალი დახუჭა
ბრძანა: „გააქრეთ ღამპარი!..
ბნელაში ძილის მომყვანი,
მითხარით ვინმე ზღაპარი!..“

—

ყველა მოშორდა. დარჩა-ღა
მარტო სოლომონ მდივანი
და ზღაპარს ეუბნებოდა,
უკუღმართ—ბედის მჩივანი:

—

„იყო და არა იყო რა...
სცხაერებდა ერთი მელია.
დაუდგა უკუღმართი დრო:
საკვები შემოეღია.

—

მეკრა წელზე მუცელი
შიმშილით!.. ხდებოდა სული...
დაიწყო გამწარებულმა
იქით და აქით ცუნცული.

—

ნაოხარ ადვილს მიადგა,
დასუნაგობდა, დარბოდა!..
დიდი ხნის გაცოცხლებული
სოფელი რაღას არკოდა?

—

ხეტიალის დროს უკარო
ნაბა პატარა სამღებრო;
იქ ქური დახვდა თავ-ღია
და გაუსინჯა, ვითომ, ძრო:

—

„შიგ ჩაყო თავი, ჩახვდა!..
— რას ეძებს რა ვეგულბა?—
აუსსლტა ფეხი!.. ჩაეარდა,
უტკრათ ვახდა ძირს ტელვა!..“

—

„შიგ საღებავი მდგარიყო...
ამოიწუშა მელია;
ძლივს ამოფორთხდა წველებით
ძალ-ღონე გამოეღია.

—

მოკიდებოდა ღილა და
ლანის ფერი ეღა მას!..
ჭგმობდა უკუღმართ ქვეყანას,
სწუყველადა მშობელ დედ-მამას!!

—

ტყვილა დახარჯა... უბრალოთ...
სამღურავ-საყვედურები!..
ამოიძუა, რომ შერცხვა,
და ჩამოყარა ყურები.

—

„ალარა გაეწყობა-რა!
— სთქვა—საქმეს უსაშველოსო!..
მე მოგახსენებთ, სხვა ფერმა
ტყავი არ დამიძველოსო?!..“

—

რაც ვიყავ, ისევე ისა ვარ
ჩვეულებით და ხნითაო!..
რას მაინებს ლორჯი ფერი მე
და ისიც ცოტა ხნითაო?..“

—

თავს ნუგეში სცა და ძველ-გზას
გაუდგა ისევე ნელ-ნელა.



ვინც შეხვდა ჰკითხა ანზავი,
გასულელა სუყველა.

უთხრა: „რათ გიკვირისთ ნეტავი
ეს უცნაური ფერიო?
ის აღარა ვარ, რაც ვიყავი!..
ახლა ვარ წმინდა ბერიო!..“

სულს შევეუდგეი... ცოდების
აწ მონანება მინდაო;
იერუსალმის მივდივარ,
იქ უნდა გავხედე წმინდაო.

თქვენც გირჩეით სულზე იფიქროთ,
შეუდგეთ ჩემსა კელასაო;
გადახდა უნდა ამ სოფლათ
ხორციელ სესხს და ვალსაო!“

გაბრიყვდა ზოგი პირუტყვი
და აედევნა მელასა,—
როგორც მოწაფეს მოქლევარი,
წინ მიუძღოდა ყველასა.

შიგ მაჰყვა ერთი მამალი,
ერთიც ოფოფი და ძერა.
მელას ხელშია იმათი
სული და ბედისაწერა.

რომ დაღამდათ, ერთ ქვაბში
შევიდენ, დაისაღურეს;
ერთ განდევილის წესია,
ლოაკვის წინ კარიც დახურეს.

მოძღვარმა უთხრა მოწაფეთ:
„უნდა სთქვათ აღსარებაო!..
სამ ცოდვას ღმერთიც შეგინდობს
და მეოთხეზე წყურებაო!..“

რაღა გზა ქონდათ?! დათანხმდენ,
მიჰყვენ ცბიერის ნებასა
და გულში აღარ ელოდენ
საწყლები გათენებასა.

წაღა ბრალმდებლათ მეღია,
და საკანონოს მომხდელად
გამოგონებულ ხრიკებსა
თავზე ადებდა მათ ხელად.

ზოგს ის შესწამა და ზოგს ეს. —
სასჯელიც გადაუწყვიტა:
წაველა პირი და ყველას
იქვე თავი წასწყვიტა.

აჰ, ელასა—მელასა
ძილი გამოსთ ყველასა!..
სხვა რაღა მოეთხოვება,
გინდ ბერათ შესდგეს, მელასა?*

სთქვა და წამოღვა მებლაპრე —
„გათედა!.. აწ კი კმარაო!“
მაგრამ სნეულმა მიუგო:
ჯერ სულ არ ვითქვამს, არაო!

რათ დაგვიწყდა ოფოფი
და მწვევარ-მემებრებიო?
სიკვდილის წინეთ თემედებსა
მეც მის ევედრებიო!..

აგა*

სიოფლის ავ-კარგი



ინ არ იცის, რომ „შეგნებულთან ჰირი ჯო-
ბია შეუტანებლთან ლხინს“. ისიც ყველამ
ვიცით, რამ დღეს ჩვენში სიოფლის ხალხი

შეუგნებელია და ამიტომ მისი ყოფა-ცხოვრება და
ქცევა გონება ბნელით არის მოცული. ახლა წარ-
მოიდგინეთ, თუ რა ღეთის წყალობა იქნება ამ გე-
რი სოფლებისათვის იმისთანა კაცი, რომელსაც ასე
თუ ისე შეუძლია სინათლის შუქი შეიტანოს ამ

კუკუმით ზნელებში და ნათელი მოჰქინოს იქაურობას. მაგრამ ჩვენ და სამუშაოთ, როგორც სპარტანაიანთ ჩაოდენ ამას წინეთ ჩვენს ქურნალ-გაზეთებში, შეგნებულთა და ნასწავლთა დაუტყვეს სოფელი უმეტრებასა და გაულდენ გზას თბილ-თბილი ადგილების და გემრიელი ლუქმის* საძებრათ.

საკურადლებო მხოლოთ ის არის, რომ სოფელი მოკლებულია გამამხრეებელსა და მანუგეშებელ ელემენტს. კაცი არ არის, რომ სოფლის მწარე და არეული ცხოვრება დაატკოს და თავის კალაპოტში ჩააყენოს. გული გისცდება ადამიანს, როცა სოფლის ამ გვარ მდგომარეობას საკუთარი თვალით ხედავ და აკვირდები და გულდათუთქული ამბობ: საღ არიან, რატომ სოფელს არ მოეშველებიან და თავისი მადლიანი სიტყვითა და მოქმედებით სოფლის ცხოვრებაში ახალ-ახალ ელემენტს არ დაბადებენ, რომელნიც ცოტათ მაინც ხელს შეუწყობენ დინამიკური ხალხის გამაფხიზლებას და მიმკვდარებული ეკონომიური მდგომარეობის წარმატებასა და ზეაღდგენას, მაგრამ სად არის, ვინ არის კაცი პატრონი?!

— მღვდელი და მასწავლებელიო, ამბობენ. ამა სვე იმეორებს და ამტკიცებს ჩვენი ქურნალ-გაზეთობაც. ამის მოქმედს, რასაკვირველია, ან არ უნახავს სოფლის ნამდვილი ცხოვრება და მასთან მღვდლისა და მასწავლებლის ურთიერთობა და ისე, მართაოდენ წარმოდგენით, სჯის, ან და თუ უნახავს, განგებ თვალს იბრმავეებს და სხვასაც თვალს უხვევს, რომ ცხოვრების მწარე სინამდვილით გულდათუთქულს იმედის გრძობა გაუცხოველოს და, ხომ მოგვსენებთ, ამეღიანი შიმშილიც კარგიაო. აჰ! ღმერთო ჩემო, რა გულუბრყვილო თავის მოტყუილება და ნუგეშია და რა სამუშაოაო მწარე დაცივნება თავისევე თავზე??!

როგორ თუ თავის მოტყუილებაო, მტყუის გაჯერებული მკითხველი! მაშ სოფლის მასწავლებელი, ეს ზნელის მანათობელი, ეს ხალხის დამრიგებელი, ეს ახალთაობის აღმზრდელი და მწერთდენელი და მღვდელი, ეს სულიერი მოძღვარი, ეს სარწმუნოების მქადაგებელი და გამამტკიცებელი, ეს ზნეობის მასწავლებელი და მაცხოვრებელი, ეს... ეს... მომითმინეთ, მოგახსენათ.

უნდა ვიცოდეთ, რომ ახლანდელ დროში,

მღვდელსაც და მასწავლებელსაც ჩვენში ისე დამამტყუილებული აქვთ თავისი პირდაპირი მოვალეობაც კი, რომ გარეშე ასარჩევზე მოქმედება მეტ ტერიტორიაზე ჩეთვლებოდათ რომ ვინმე იყოს სხვა მათ გარდა მასაქმე და წინამძღვარი. ამიტომაცაა, რომ ჩვენში ისევე ეს ორი კაცი ფათურობს სოფელში, ყველაზეურის ეპორტინება, ღობე-ყარეს ედება და საქმე კი მაინც ვასაკეთებელი რჩება. ამასობაში თავის პირდაპირი მოვალეობასაც უკულოთა და უსულოთ ეკიდებიან, რისთვისაც მათი მოქმედება აქაც უშინაარსო და უმნიშველო გამადის, თითქოს სინათლის ნაცვლათ ს-ზნელეს ჰუნდენ სოფლის ცხოვრებას. ამას მე ნამდვილი სოფლის ცხოვრებიდან ამოღებული ცუცხალი მაგალითებით ცხადათ ვუაფი, რომ მკითხველის შეწყუბებას არ ვერიგებოდე. ამ ქვათ კი მხოლოთ იმას მოგახსენებთ, ნურაინ იტყუილებს თავის თავს იმ იმედით, ვითამ მღვდლისა და მასწავლებლის დღევანდელ მოქმედებას ხალხში სოფლის ცხოვრებაზე რაიმე თვალსაჩინო მნიშვნელობა და გავლენა ჰქონდეს. პირ-აქეთ, დღევანდელი ცხოვრების პირობებს მღვდელსა და მასწავლებელზეაქეთ ძლიერი გავლენა და ისიც დიდ ლეთის წყალობათ უნდა მივიჩნიოთ, თუ კი ისინი როგორმე საზოგადო ცხოვრების სწავმზდრეს არ აყუებიან და თავის კერძო ცხოვრებას მაინც სამავალითათ ვახლიან სოფელ-ქვეყნისათვის. ასეა სოფლის ცხოვრების ნამდვილი მიმდინარეობა და ვინც არ დიჯერებს მოვიდეს და იხილოს. ჩვენ კი მხოლოთ აქ ნამდვილ უტყუარ ფაქტებს აღვნიშნავთ სოფლის ცხოვრებიდან, რომ შეიტყოთ ყოველივე მისი აუკარგო,

ამ ერთა წლის წინათ, სულ ოთხი თუ ხუთი თვის განმავლობაში ჩვენს მხარეზე, ზედი-ზედ ხუთი ეკლესია გატყვეს შემდეგ სოფლებში: წყალტუბოში, დედალენურში, გღმა-გამოდმა ჩუნეში და ქეილიშარში. ფულებს გარდა ეკლესიებიდან სხვა ნივთები არა წაუღიათ რა, მაგრამ ტარილი მოგვივიღადით, რომ გენახათ, თუ როგორ უპატიურათ მოპყრობოდენ ზოგიერთ საღმრთო ნივთებს, რომელთა ხელის შეხებას მოარწმუნე ადამიანი ვერც კი გაბედავს. ხუთსავე შემთხვევაში ოქმი, რასაკვირველია, მაშინვე იქმნა შედგენილი, მაგრამ ბოროტ-მოქმედ ერობელსაც არ ამოჩენილა.

დღესასწაულები და უბრალო შეკრებებზე საზოგადოთ იმერეთში ისე არ ჩაივლის, რომ კაცი არ დაიჩხვოს და ან არ მოკედეს. ნამეტურ ამ ნა-აღდგამებს ამ გვარი ბოროტ-მოქმედება ისე განზი-რებულა, რომ არ ვიცი, რომელიერთი შემთხვევა დაეასახელო.

ქურდობას ხომ ნულარ მკითხეთ. მსხვილ-მანს რომ თავი დავანებოთ, მარტო წერილმანს საზღვარი აღარა აქვს. დღე ისე არ გაივლის, რომ ცხვარი, გოჭი და ქათამი არ მოიპა-რონ. აგრეთვე ხშირია ბეღელ-მარნის გატეხაც. ამას წინათ ერთმა გლეხმა ბეღელში ღამით ქურდს მოასწ-რა და შიგ დამწყვედა, მაგრამ ცნო თავის ახლო მეზობელი და ისევე გამოეშვა... ამ გვარ ბოროტ-მოქმედების ასალაგმავთ ჩვენში ისევე ხვეის თაობა დაუბრუნდენ. დაყენეს, როგორც ყოველთვის, იმი-სთანა პირები, რომელნიც ამ გვარ საქმეში თვითონ დახელოვნებულნი არიან და დაეაღეს, დაკარგული ან მონახა და ან ფულათ იხლონ. მაგრამ, ამბო-ბენ, არც ერთ ხვეის თავს (სულ ოთხია ოც-ოც თუმნათ წელიწადში) ამ ექვსი თვის განმავლობაში გააპაგირი არ მიუღია, რადგან დაკარგული საქონ-ლისა და ნივთების ფასის ზღვევას უნდებო.

არც მეზობელთა შორის სუფევს კეთილი გან-წყობილება. მიჯნებისა და გზების თაბაზე და სა-ზოგადოთ ადგილების შესახებ დაუსრულებელი და-ვი-დარაბა, შური და მტრობა ატეხილი. ამისთანა-ვე ხალხში უზნებობამაც იჩინა თავი. ამ ორი თვის წინათ სოფ. გამოღმა-ჩუნეშში ერთმა ღარიბი გლეხის ახალგაზდა ცოლმა თავი მოიწამლა. მიზეზი მისი ახლო მეზობლის ახალგაზდა ბიჭი ყოფილა, რომე-ლიც თურმე მოსვენებას არ აძლევდა: ქმარს თავი დაანებდა და ცოლათ წამოაყვავიო. ბოლოს საწამლა-ვიც მიუტანია და გადაკრით უთქვამს, ამით შენი ქმარი მოწამლე, რაკი იგი ჩემს სიყვარულს გიშლი-სო. ქალს ქმრის მოწამლის ნაცულათ საწამლავე თვითონ დაელია, თუმცა ცუდი შედეგი არა მოყო-ლიარა. ამაზე, რასაკვირველია, ოქმი მაშინვე შეად-გინეს, მაგრამ ეს ოქმი შუა გზამდე შეაჩერეს და სა-ქმე ჩააფურჩიეს.

ამას თან დაუმატეთ აქაური ხალხის სიღარიბე და თქვენ თვალ-წინ გექნებთ, ჩვენი ცხოვრების ნა-

მდილი სურათი. ყველა უფულობას და ხელო-მობობას უწივა. გასაყიდვლს არაფერს ფასი არა აქვს, მაინც რა აქვს ჩვენებურ გლეხს წელს გასაყიდი? სი-მინდს აქეთ ყიდულობს (ფუთი 80 კ.) და ღვინო კი სა-პანე 8—10 მანათს ზევით არ იყიდება. დღეს კიდევ, რაც არის, მადლობა ღმერთს და აწი მგონია, ცვარიც ვერ ეიხილით, რადგან წელს ენახებეს ძლიერ ნაკ-ლებათ ასხია. არც სხვა ფრიე ეტყობა საუარესი ნი-შნები. წინეთ ამ დროს „სახელმწიფო“ გლეხებს გა-დასახადი შეტანილი ჰქონათ ხაზინაში და დღეს კი თითო გროშობით აგროვებენ, მაგრამ, ვაი, ამისთანა მიგროვებასაც! მთავარი სული, როგორც ამბო-ბენ, ამ გადასახადს მიძევება. აქეთვე კაცი არ იქნე-ბა, რომ ვალი არ ემართოს, ნამეტურ გლეხობა და წერილი ახნაურობა ყელამდი ჩაფლულია ვალში. კვირა ისე არ წაევა, რომ „სუფლებნი პრისტაეი“ თავის „ისპოლიტიკონი ლისტით“ კარებზე არ მოგვა-დევს. ერთი სიტყვით, ჩვენებური სოფლის ცხოვ-რება—თანდათან უარესდება, თორემ გაუმჯობესობა არაფერში არ ეტყობა. ვინ არის ყველე ამის მიზე-ზიო, რომ იკითხათ, გიპასუხებენ, მღვდელი და მასწავლებელიო, თითქოს სხვა აქ არაფერს შუაში იყოს. ესეც რომ არ იყოს, რომ მღვდლისა და მასწავლე-ბლის დღევანდელ ნამოქმედოს თვითონ ხალხი და ცხოვრება არ სპობდეს და ანადგურებდეს, მარტო ამ ორ კაცს მაინც რა უნდა შეეძლოს?!

ჩვენ მაინცა-და-მაინც დაქინებით არ ვამტკი-ცებთ, რომ მთელი საქართველოს სოფლების ცხო-ვრება ასეთ უნუგეშო ყოფაში იყოს და ან მღვდ-ლისა და მასწავლებლის მოქმედება ყველგან ასე უფერული, მაგრამ „ერთი მერცხალი ხომ გაზაფხულს ვერ მოიყვანს?!—აი, ასეთია ჩვენებური სოფლის სა-ზოგადო ცხოვრება და „რომელთა ასხენ ყურნი სმენათ, ისმინონ“ და იცოდენ, რომ დღეს მრავალი იურიდიული და ეკონომიური კითხე-ბი ერთი მეორეში არიან გადახლართული ხა-ლხის უმეტრებასთან ერთათ და მათი ნაკვის გამო-ხსნას მღვდელი და მასწავლებელი ვერც თავს გაუ-გებენ და ვერც ბოლოს სრული საცხვებით, რადგან ეს მათ გავლენას არ ექვემდებარება. მაშ, როდემ-დის უნდა ევლოდეთ ამ ნაკვის გამოხსნას, ჩემო ძვირუფესო მკითხველო, როდემდის?!

პედაგოგიური წერილები.

წინასწარი განმარტება პეკუბის აღზრდასა და სწავლასა გოგაის მეცნიერებაზე.

(წერილი პირველი)

ბევრის ჰვონა—ბავშვების აღზრდა ისეთი ჩვეულებრივი საქმეა, რომ ის არ ითხოვს არც ვითარის განსაკუთრებულ ცნობებს: ყველა სოფელელ უმეცარ დედაკაცსაც კი შეუძლია ბავშვის აღზრდა, ფეკრობენ ზოგიერთები, მაგრამ იმას კი არ ამბობენ, თუ რამდენი ჩრდილი უსუსური ბავში ესალმება წუთის სოფლის ამ ჩვენს კურობებულ ქვეყანაში იმის გამო, რომ მოკლებულნი არიან შესაფერს, გონიერს მოვლას. თუ რა ხშირია ჩვენში ბავშვების უღრობათ სიკვდილი, ცხადი უნდა იყოს ყველასათვის, ვინც კი უკვირდება ჩვენი ხალხის აწუხო ცხოვრებას; ვადაწინავეთ საეკლესიო მეტრიკის დეთერები და ნათლათ დანახავით, თუ რამდენი ბავში ხდება ყოველ წელს მსხვერპლათ მშობელთა და აღმზრდელთა უმეცრებაზე დამოკლებულ მიზეზებისა თვითოველ სოფელში. საზოგადო, სწორი სტატისტიკური ცნობები ამ საკანზე ვერაფერსაწუგებულს მოგვითხროს. შეგვიძლია დარწმუნებით აღვიაროთ, რომ ნახევრადის შთამომავლობა ილუპება დღის სინათლის დანახვისათნავე. საზოგადოთ ცნობილია ყველგან, რომ უფრო ხშირათ ბავშვები იხოცებიან ხუთ წლამდის. უცხო და განათლებულ ქვეყნებში, რასაკვირვლია, ამ გვარ არა სასიამოვნო მოვლენის თავიდან ასაცილებლათ, დიდი ხანია, მიღებულია შესაფერი ზომები; ყველაზე უეტეს და სწორ საშუალებათ ბავშვების უღრობათ შშირი სიკვდილის წინააღმდეგ აღიარებულია ისეთი ცნობების გავრცელება ხალხში და განსაკუთრებით ოჯახებში, რომელნიც შეეხებიან საზოგადოთ ახალ დაბადებულთა რიგანათ აღზრდას, მოვლას, ეს სწავლა, რომელიც შექმნილია საუკუნოთა გამოცდილებით და დაკვირვებით, ეს საჭირო ცნობები, რომელნიც შეეხებიან ბავშვების აღზრდის საქმეს, ახსნილი და განმარტებულია ცალკე მეცნიერებაში, რომელსაც ჰქვია პედაგოგია *). პედაგოგია უხეხებს

ყველას, თუ როგორ უნდა ბავშს აღზრდა და სწავლა მისი ბუნების მიხედვით.—

ვინც კი დაკვირვება გარშემორტყმულ ბუნებას, უეტველათ შენიშნავდა, რომ ყოველი მცენარეულობა და აგრეთვე ცხოველი ორგანიზმიც თანდათან ეითარდება—დიდება, იზრდება და მაგრდება. ვაშლის პატარა მარცვლებიდან ჰაერის, სითბოს, სინათლის და წყლის შემწეობით დიდი ვაშლის ხე იზრდება, რომელსაც თავის დროზე ნაყოფიც მოაქვს. მაგრამ ეს ნაყოფი, რომ კარგი და გემრიელი იყოს, ამისათვის საჭიროა პატარა ვაშლის ხეს დაემინას კარგი ჯიშის ვაშლის ტოტი. ყველა, ვისაც ცოტა რამ ესმის ბაღისნობიდან, ძალიან კარგათ იცის, რამდენ ბუჯითს შრომას და მოვლას ითხოვენ საზოგადოთ ხეხილები. ზოგს მცენარეულობას დაუყმენლათაც მოაქვს ნაყოფი, მაგრამ მათ მოსაყვანათაც ფრიად საჭიროა ნიადაგის წინთავე მომზადება და სხ. არის ისეთი მცენარეც მაგალითათ ვაზი, რომელიც ყველაზე უფრო მეტ შრომასა და ჯაფას თხოვლობს. საზოგადოთ მცენარეები წარმოადგენენ სულ სხვა და სხვა სახეს თავის განვითარებისას; მაგალითათ რა განსხვავებაა რომელიმე პატარა მინდვრის ბაღასა და დიდი კაკლის ხის განვითარებათა შორის. ამავე წესებს ეხედეთ ცხოველთა ორგანიზმშიც—რომელიმე ინფუზორია რამდენიმე საათის განმავლობაში ასრულებს თავის განვითარების დღეს და სიკვდილს შემდეგ ტოვებს ურიცხე შთამომავლობას, მაგრამ არიან ისეთი ცხოველებიც, რომელთა სიცოცხლე რამდენიმე ათი და ასი წელიც გასტანს ხოლმე. რამდენათაც ორგანიზმით რთულია, იმდენათ უფრო გვიან მიდის განვითარების საქმე და მისი შთამომავლობაც უფრო მეტ მოვლას ითხოვს, მშობელთა ზრუნვა თვითნათ შთამომავლობაზე ცხოველთა სამეფოში წარმოადგენს საგულისხმეოთა მაგალითს. რამდენ შრომას, თვით ვაწირვის იხენენ პატარა ჩიტები თვითნათ ბარტყების აღზრდის დროს. მით უმეტეს საჭირო არის ადამიანთა შთამომავლობის გონიერულათ აღზრდა და განვითარება. ადამიანი არის გვირგვინი ყველა ქმნილებათა შორის. უმარტმა მისცა ადამიანს ყოველი გვარი ნიჭი ორგანიულ ცხოვრებისათვის, ადამიანის ცხოვრება ისე შეუქმნეველათ არ ჰქვია, როგორც ცხოველების, მათი მოქმედება რჩება შთამომავლობის მესხიერებაში, ვადადის ნათესაობიდან—ნათესაობამდე, საუკუნეიდან—საუკუნემდე. კაცობრიობა თანდათან შესაძნევათ წინ მიდის, სრულ ხდება და ცდილობს მიუახლოვდეს უუსრულებს ხატებას, უუბრძენს შემოქმედს, რომელიც შექმნა კაცი სტად და მსგავსად

*) პედაგოგია, როგორც სხვა მეცნიერებათა სასწავლებელი, სწავლის სიტყვას, ჩვენებურათ ნაშნავს სხვა მძღვანელობას ანუ აღზრდას პეკუბისას, აქედან პედაგოგი ჰქვია პეკუბის სხვა მძღვანელს, აღმზრდელს.

თვისდა. ეს სრულ ყოფა ადამიანისა ყველაფერში ჩანს: სახლების აგებაში, ტანისამოსში, სასმელ-საჭმელში, ზნე-ჩვეულებაში და თვით შვეწებულებაში. წარმოვიდგინოთ ჩვენი წინაპრები კერპთაყვანის ცემის დროს, როცა ადამიანსაც კი სწირავდენ მსხვერპლთა კერპებს, და შემდეგ ქრისტიანობრივი ღრობება, როცა ჩვენი ქვეყნის ყველა ადგილები იცემა უდიდესი ტაძრებითა და ეკლესიებით, ან ახლანდელი დრო სწავლა-განათლების გავრცელებით და წარსული საუკუნე, როდესაც დავით გურამიშვილის სიტყვით:

„ჩემს ურმაში სულ მტრად გვაგებ თურქ-ქიზიბაში“;

მით იგლო სწავლამ, ჩვენში დღევანდელსა წიგნნი წარტყვევნა! დაჩინენ უწიგნო ბერებს-სუგობი, ჩემი დროს ურმაში უწრთაველ-უგობა“.

ამ ნაირი წინ-მსვლელობა, რომელსაც პროგრესი ჰქვია, არ შეინიშნება ცხოველებში—თუმცა დიდი ხელოვნებით აცეთებს ახლა შაშვი თავის ბუდეს, მაგრამ ეს ბუდე არაფრით განსხვავდება იმ ბუდისაგან, რომელსაც ათასის წლის წინათ აცეთებდენ ამის წინაპრები.

ასეთი მოძრაობა, ამ ნაირი პროგრესი არ შეიძლება ისე, თუ არა ადამიანის განსაკუთრებით მდიდარი ორგანიზაციით, რომელიც სრულიად ეთანხმება იმისთანა მაღალ დანიშნულების აღსრულებას, როგორც არის გონებრივი და ზნეობრივი წინ-მსვლელობა. ამისათვის უმთავრეს იარაღათ არის, რასაკვირველია, მეტეფიკა და განუება, რომელითაც განსხვავდება ადამიანი ცხოველთაგან.

გამოცდილება და დაკვირვება უნათლებს გონებას ადამიანს, რომელიც თანდათან იძენს ცნობებს და ხდება ჰქეიანი. ყველა ცნობები, სწავლა, რაც კი კაცობრიობას შეუძენია გაეღებოთ საუკუნოების გამოცდილებიდან, სისტემატურ წესზე დალაგებული შეადგენს საზოგადოთ მეცნიერებას. კეთილისა და ბოროტის ცნობა, შეგნება, მეცნიერების შესწავლით გონების გაბრწყინებება ხდის ადამიანს არა მარტო გონიერათ ტყუიერათ არამედ—უფრო სათნოიანათ და კეთილ ზნეობიანათ. პირველი და უმთავრესი წყარო კეთილისა და ბოროტის შესამცნებლათ არის საღმრთო სწავლა მაცხოვრისა. მაცხოვრის სწავლის დაკვამ და მისდამი მტკიცე სა-

არწმუნობამ დაიცვა ქართველი ხალხი ურცხველ მტრების მიერ გაყლტვისაგან. ჩვენი წინაპრები უფრო მტკიცეთ იდგენ სარწმუნოებაზე; დღეს კი ჩვენი ხალხში საზოგადოთ თვალსაჩინო გულ გრილობაა სარწმუნოებისადმი, რომელიც, რასაკვირველია, არ არის კარგის მომასწავებელი, თუ ახლავ არ ამოიფხვრა ახალ თაობას ზნეობრივით და გონებრივით, კანონიერის აღზრდით.

მოაყვასადამა სიყვარული, რომელსაც გვიქადაგებს მაცხოვარი, შეადგენს საფუძველს ქრისტიანობრივი სარწმუნოებისას. პედაგოგია, როგორც მეცნიერება მდიდეს მაცხოვრის სწავლას, ის უტრძადას მავალითათ მშობლებს და საზოგადოთ აღმზრდელებს ბავშვების სასტიკათ მოპყრობას, ცემას, როგორც ძველათ იცოდენ და სხ. პირ იქით პედაგოგია უჩრჩევს აღმზრდელებს მშვიდათ, მოთმინებით და



ვლტას გოდარჯალი.

სიყვარულით მოექცენ ბავშვებს. საზნეო და სარელოგო ჰქმნაობის დამოუკიდებლათ, პედაგოგია უჩრჩევს აღმზრდელებს პირველათ კარგათ გაიცნონ ბავშვის ბუნება და მისი სულიერი მდგომარეობა. ცნობები საზოგადოთ ადამიანის სულიერ ბუნებზე და ბავშვების ნიჭიერებაზე — ყველაფერი ახსნილია ცალკე მეცნიერებაში, რომელსაც მეცნიერულათ მისიხილოგა ჰქვია (მეცნიერება სულზე).

თუ მებაღისაგან კი მოითხოვება იძღენი ცუნდა, რომ კარგათ შეამუშაოს ნიადაგი, მოუაროს ხეობის, რომ კარგათ იხიროს და მოიძანოს სასურველი ნაყოფი, მით უფრო ფრიად საჭიროა დღედებისათვის და საზოგადოთ აღმზრდელებისათვის უსაჭიროესი ცნობების შეძენა აკუშუას კარგათ აღზრდასათვის, რომლებიც შეადგენენ გონიერ არსებას და


აქეთ მინიჭებული მდიდარი ორგანიზაცია. სიტყვით აღზრდა პედაგოგიაში იგულისხმება არა მარტო საკმელოთ გამოკება. ეს ძალიან მცირე იქნებოდა. ბავშს გარდა ცხოველ მოთხოვნილებისა—ჭერის, სასნეო-საჭმლის, მოძრაობის, ძილის და საშოსვლისა, აქეს კიდევ სულიერი მოთხოვნილებანი, რომელნიც გამოიხატებან სურვილში, გრძობაში და აზროვნებაში. ერთის სიტყვით ბავშს აქეს გონება, ნება—სული და ამისთანა ძვირფასნი ნიჭიერებანი განა შეიძლება დატოვებული იქმნეს განუეთარებლათ, ბუნების ანაბრათ? ვინც კი დაუკვირდება ამ საგანს, ის უეჭველათ მიხვდება, რა დიდი მნიშვნელობა აქეს

ბავშვების აღზრდის შესახებ შესაფერი ცნობებს შე-
ძენას. დედის სიყვარული, რასაკვირველია, უძლიე-
რესი ძალაა შვილის აღზრდაში, ისეთი ძალა, რა-
მელსაც შეუძლია შექმნას ის, რაც არ შეუძლია
არც ერთ ბრძენთავანს; მაგრამ ცოდნაც არა ნაკ-
ლები უძლიერესი ძალაა, რომელიც ხშირათ სასწა-
ულებსაც კი იქმნ ხოლმე. რამდენი დედა, რომე-
ლიც სამწუხარათ გვიან იგანებს, იგლოვს თავის
შეცდომებს, დაუღერობას, როგორც შედეგს უშე-
კრებისას.

კარგი და გონიერი აღზრდა თხოულობს ბევრ
ცოდნას; მარტო კეთილი სურვილი არ კმარა. რა-
მელ დედას არ უნდა თავისი შვილი ჯან-სალი, გო-
ნიერი გამოვიდეს, მაგრამ იგივე დედა ხშირათ ისე-
თი საქმლით კვებავს ბავშვს, რომელიც მისთვის მა-

ენებელია, ხშირათ დედა აღძრავს ბავშვი ისეთს სურ-
ვილებს, რომელნიც განითარების მაგიერ, აწილუნ-
გებს ბავშვის განებით ნიჭიერებას და ეს ყველა ხდე-
ბა იმის გამო, რომ არ იციან, თუ რა არის ბავშვი-
სთვის სასარგებლო და რა მავნებელი. ამის გასაგე-
ზათ, როგორც ეს თქვით, საჭიროა ბავშვის ბუნების
ცოდნა; საჭიროა ბავშვის ხორციელ და სულიერ მო-
თხოვნილებათა საფუძელიანთ ცოდნა, შესწავლა.
მხოლოდ მაშინ შეიძლება დარწმუნებით გავება, თუ
რა შევლის ბავშვის სხეულის გამაგრებას და მის
სუღაერ ნიჭთა სრულად განვითარებას; მხოლოდ მა-
შინ შეიძლება სრულად ჯან-სადის, ჭკვიანის და სათ-
ნოიანი შთამომავლობის აღზრდა. ეს შეადგენს ამიკა-
ნას პედაგოგიისას და ამ სავანზე ვაიმრებ საუბარის
გამართავს ჩვენს მკითხველებთან.

ლ. პოცუჭი




ორი სიტყვა თ. დიმ, ერისთავს

მადგან თ. დიმიტრი ერისთავი ლობე-ყურეს
ედება და არ იცის, თუ არ გ. წერეთელი ვინ
გამორჩევოს სამართალში, მე ანას. თუმანი-
შვილი—წერეთლისა ძიულებული გაცხდი მოვასხე-
ნო შემდეგი: ყოველგან და ყოველთვის რედაქციას
ჰყავს სანდო პირები, რომელნიც უზაუნთან კორრე-
სპონდენტებს და საბუთები თავიანთი ნაწერებისა
თითონვე აქვთ, და ვინც თავისთავს თელის განკი-
ცხულათ, უნდა ჯერ კორრესპონდენტებს მოთხოვან
ნაწერების დასაბუთება და მერე, თუ ისინი ვერ
დაკმაყოფილებენ, მაშინ პასუხის გამოცმით ხდება
თეთი რედაქტორი. მგონი არ იყო საჭირო მამე-

ხსენებინა თქვენთვის ამისთანა ანბანი. ჩემთვის, რო-
გორც პირადი ნაცნობისთვის სამწუხარო იყო ამ-
გვარი კორრესპონდენტების დასტამბვა, მაგრამ მე
ვამჯობინე შინაურათ მითქმა-მოთქმას და სახელის
დამტკიცებას, ვაზთვის საშუალებით გამხილებულიყო
ეს საქმე, რომ თქვენ შეკლებოდით პირნათლათ
გამოსულიყავით საზოგადოების წინ. რადგან ოთხი-
ვე დამწერნი დრაჯიც და სხვებიც *) გორვევენ თქვენ
და იმედი აქვთ თვინთი ნაწერი დასაბუთონ კი-
დეც, მანამდის არც ჩემთან და არც გ. წერეთელთან
თქვენ საქმე არა გაქვთ.

*) ჩვენ შეგიტყვით, რომ „ივერა“ იმის არ უბე-
ჭდავს ზასუსს ამ საქმის შესახებ.



წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ ნება გვიბოძოთ, თქვენი პატივცემუ-
ლი ვაზნით „კვალის“ საშუალებით უფულითადესი
მადლობა გამოვუცხადოთ ქუთაისში ქართული წი-

გნების მალაზიის პატრონს ბ-ნ ვასილ ბეჭანიშვილს,
რომელმაც შემოწირა ჭიათურის უფასო ბიბლიო-
თეკას 12 ცალი სხვა-და-სხვა ქართული წიგნი, ღი-
რებული 3 მ. და 10 კ.

ბაბლიოთეკის დამაარსებელი კომიტეტის წევრი თ. კაცაძე

საშინელი ქარიშხალი

(გაგრძელება მათხრობის „პირველი ტალღები“)

XV.

დასასრული *)



რთ დილას არა ჩეულებრივით დაღონებულყო მარო, როცა დათა შევიდა მის ოთახში.

— რა ამბავია, რამ მოგაწყენია, მარო? ჰკითხა დათამ.

ისინი ახლა, როცა მარტონი იყვენ, შენობით ელაპარაკებოდენ ერთმანეთს.

— არ ვიცი, რაღაც საშინელი სიზმრები მქონდა წუხელის, მიუფო მარომ.

— სიზმრები? გალიმა დათამ: არა გრცხენია, სიზმრების გჯერა?

— რა ექნა, დაცდილი მაქვს და მჯერა, მიუფო მარომ.

დათა ბეერს ეცადა ვაგმზიარულებინა მარო, მაგრამ პირიქით მისი მწუხარება თვითონაც გადაედდა და უგემურათ დალიეს ჩაი. ნაჩაიეს აბანოში წაივდა მარო და დათაც გაჰყვა. დათას შევირდი აღარ ჰყავდა ახლა, რადგან განმეორებითი ეგზამენის დრო დადვა და თბილისში იყო წასული, და სრულიად აღარ შორადებოდა მაროს. როცა მარო აბანოში იყო, დათა იქვე მოსასვენებელ ოთახში იჯდა და გაზეთებს ჰკითხულობდა.

— იცო, ღღეს სულ ცივ წყალში ვიბანე; ხეალ კიდევ და მერე პირდაპირ წყაროს წყალზე გადავალ, უთხრა მზიარულათ მარომ, როცა აბანოდან გამოვიდა და ჩეულებრივით შეუდგენ მინისტრის გზას*, რომელიც ყოველ ნააბანოეზე უნდა გადაეცელო მაროს.

— ვერ წარმოიდგენ, რა მხატვთ ეგრძინბო თავს, ასე მგონია, ხელის ვაშლის მებტ არაფერი მინდა, რომ გავფრინდებ-მითქი. აშობობე გზაზე მარო და მართლაც სულ თავისუფლათ მიხტობდა შეღმართზე. დათას უხარობდა, რომ მარო ასე მზიარული იყო ამ დილის მწუხარებას შემდეგ, და უკერდა კიდევ ასე უტეები შეტვლა მისი.

— რა არის, რომ არაუფერს ლაპარაკობ? მე ასე მზიარული ვარ და შენ კი ხმას არ იღებ! უთხრა საყვედურით მარომ დათას.

*) ს. მ. „გაღი“ № 35.

— რა ექნა, რა ვილაპარაკო? მეც მზიარული ვარ ძალიან, როცა შენ ასე გხედვ, დაიწყო დათამ.

— თუ მზიარული ხარ, თქვი რამე! მე მინდა, რომ შენ ლაპარაკობდე, სულ ლაპარაკობდე! მე მიყვარს, როცა შენ ლაპარაკობ, თითქოს ლექციას კითხულობო!.. მართლა, დათა, რა კარგი პროფესორი იქმნებოდი! რატომ არ დარჩი უნივერსიტეტში? მაგრამ რას ვამბობ, შენ რომ უნივერსიტეტში დარჩენილიყავი, ჩვენ რას გამოგვადგებოდი, საქართველოსთვის ხომ დაკარგული იქმნებოდი და მეც ვეღარ ვნახავდი! ასე სჯობია; უნივერსიტეტში რომ სახელმწიფოებრივ პროფესორი ჰყოფილიყავი, იმას, მს-ში რომ უბრალო მასწავლებელი იყო, ის სჯობია

— რატომ? თუ-კი საშობლობს არ დაიფიყვებს კაცი, პროფესორობის დროს კიდევ უფრო ბეერ სარგებლობას მოუტანს, რადგან მეცნიერულათ შესისწავლის რომელიმე საგანს და ხალხისთვის გასაგებ ენით დაწერს რაიმე გამოკვლევას, რომელიც სრულიად არ მოგვეძევა, ან ნათელს მოაჰყვენს ჩვენ ბნელით მოცულ მეცნიერებისთვის წარსულს, უთხრა დათამ.

— არა, არა, ჩვენი უნივერსიტეტი რამ გვეკონდეს, მაშინ სხვაა, თვარა ქართველ პროფესორს რუსეთის უნივერსიტეტში ჩვენთვის აღარ ეცლებია. აბა რა გავიკეთეს იმას, ვინც არაან ღღეს?.. არაფერი!..

— როგორ არაფერი? სხვა არა იყოს რა, იმათ დაუმტკიცეს ქვეყანას, რომ ქართველები ველურები არა ყოფილან და შემდგომათ მეცნიერების შეთვისება.

— განა მაგაშიაც იბეი ჰქონდა ვისმე
— წარმოიდგინე, რომ ჰქონდათ; თვითონ გამოჩენილ მეცნიერებასაც კი ჰქონდათ. როცა ერთი ჩვენი პროფესორი პროფესორათ გამოდიოდა, თურმე ბეერი მხოლოთ იმიტომ იყო წინააღმდეგი, ქართველი და მეცნიერი როგორ შეიძლებაო?

— არა, რატომ არ შეიძლებაო?.. თვითონ უფრო ნიჭიერები ბრძანდებიან ჩვენზე მათმა მშემ, მაგრამ დავენებოთ ამას თავი! მე სულ სხვა რამეზე მინდოდა ლაპარაკი და მეცნიერებაზე გადავდილი! თქვა მარომ და შეხნდა თვალზე გაბრწყინებულმა დათას.

— რაზე?
— სიყვარულზე.
— სიყვარულზე? გაიკვირვა დათამ.
— რა გავიკვირდა, შე კაცო? ამდენი ხანია ერთათ ვართ და ერთი სიტყვაც კი არ გვითქვამს ერთმანეთისთვის ამის შესახებ. მართლაც დათას და

მაროს არც კოწიას იქ მყოფობის დროს, არც მეგრე ერთხელაც კი არ ჩამოვედლოთ სიყვარულზე ლაპარაკი.

— ნუ გეშინია, მე ჩვენს სიყვარულზე არ გელაპარაკებში! მე მინდა საზოგადოთ ვიცოდე შენი აზრი სიყვარულზე, რა არის სიყვარული? არ ესწნებოდა მარო.

— სიყვარული სულთა ნათესაობა არისო, ამბობენ ერთნი; სიყვარული სექსებრივი მიდრეკილება არისო, ამბობენ მეორენი, თქვა დათამ, მაროსთვის არ შეუხებდეს ისე.

— შენ, შენ რომელ აზრს ეთანხმები?

— მე არც პირველს და არც მეორეს, ან უკეთ რომ ეთქვათ, ორივეს ეთანხმები, მიუგო დათამ: ჩემის აზრით სიყვარული სულიერი შიშშილია.

— შიშშილი? გაიკვირვა მარო.

— ჰო, უთხრა დათამ: შიშშილის დაკმაყოფილება საჭიროა იმიტომ, რომ ცოცხალი არსება არ მოკვდეს, სიყვარულის დაკმაყოფილება კი იმიტომ, რომ მოღვაძე არ გადაშენდეს. პირველი თავის თავის დაცვაა, მეორე შთამომავლობის. ამიტომაც კაცი, რომელიც ჰუმან, როცა არ შიდა და კემშირი აქვს, როცა არ უყვარს, დანაშაულია. აგრეთვე ჰუმან, რომელიც სხეულის დაცვისთვის არ არის საჭირო, და სიყვარულის დაკმაყოფილება, რომელსაც მომდგმის გაგრძელება არა აქვს მიზნად, საზოგადოება! განსხვავება შიშშილსა და სიყვარულში ის არის, რომ პირველის დაკმაყოფილება მიუცილებელი საჭიროა; შიშშილი აწვალებს და ტანჯავს კაცს, სანამ არ იქნება დაკმაყოფილებული, სიყვარული-კი თავის-თავათაც სიტკბოებაა. თუ გაგრძობამ ხელი შეუწყო და შეართა ისინი, ვისაც უყვარს ერთმანეთი, ხომ კარგი, თუ არა და ისინი მაინც ბედნიერებაა, რადგან სიყვარულის დაკმაყოფილება მდგომარეობს თვით იმ ცოდნაშიაც, რომ სიყვარული გაზიარებულია! თქვა და გააჟმდა დათამ.

— როგორც ჩვენ ვართ ახლა ბედნიერი და კმაყოფილი, როცა ვიცით და ვგრძნობთ, რომ გვიყვარს ერთმანეთი, თუმცა სიტყვით ეს არც-კი გვითქვამს და გავგემიქვალენებია ერთმანეთისთვის, არა? ჰკითხა სახე გაბზწყინებულმა მარომ დათამ და გაუწყოდა ხელი.

— სწორეთ! მიუგო დათამ და მაგრათ ჩამოართვა ხელი.

ამსობაში გაათავეს მინისტრის გზა და პირვერ ჰალა-ტუქში ჩამოვიდნენ, სადაც გამდელი და პატარა დათაკო დახედათ. გამდელი დალონებული მიეგება მაროს და რაღაც ჩურჩული დაუწყო. მაროს ფერმა გადაჰკრა და შეტედა დათამს, რომელმაც ის იყო, აუკაცა დათაკოს და მივიდა მათთან.

— რა ამბავა? იკითხა დათამ.

— ჩემი სიზმარი გამართლდა: ჩემი ქმარი ჩამოსულა, მიუგო წყნარათ მარომ.

— დიას, ჩამოვიდა და ხაბაკს აკრევირებს ბიჭებს, ამბობს ფიტორანს გაურგიდი და ახლავ უნდა წაიღეთო. დათამ და მარო კიდევ შეხებდეს ერთმანეთს და ცოტა ხანს გაშტერებულნი იდგნენ. მარომ ახლაც იგივე გამგებობა ამოიკითხა დათამს თვალბეჭდში, რომელმაც ისე შეაშინა ამას წინათ.

— როგორ გაშტერდით. გამოერკვა ისევ მარო—ძიძა, ბავში აქ გაყავდეს და, სანამ სადილობის დრო არ მოვიდეს, ნუ წამოხვალთ! უთხრა მან გამდელს და წავიდა ჩქარის ნაბიჯით სასტუმროსკენ. დათამ უკან გაყევა, სრულიად გაუფრთხილებული. ის სწორეთ იმდენ მდგომარეობაში იყო ახლა, როგორ-შიაც ამ ოთხის წლის წინათ, როცა კენინა სალომემ ლექსის კითხვაში დაიჭირა.

როცა დათამ და მარო სასტუმროს კიბეზე შევიდნენ, დაინახეს, რომ თავიდან ნესტორი მარტაძე და სანდრო ბესაშვილი და გურგენ გურგენიძე აიკანაზე ისხდნენ და საუბრს მიირთმევდნენ. მათ გადმოაჩნდეს მაროს და დათამს და ჩაიკინეს. აშკარა იყო, რომ იცოდნენ ყველაფერი და იცდიდნენ, ახა რითი გათავებდობდა საქმე? მართლაც, შეხედენ ისინი ქიხოსროს, როცა უკანასკნელი ეტლიდან გადმოხტა და სასტუმროში მიიღოდა.

— ცოტა დაიგვიანე, კინაჲ ქიხოსრო, სესონი თავებდა და რაღა დროს მოსვლა იყო? უთხრა ცხიკრათ მას გურგენმა მისალმებისათავე.

— ცოლის წასაყვანათ მოვედი! უპასუხა ქიხოსრომ.

— რა გეჩქარებოდა, შე კაცო? თუ ვისმე მოუხდა წელს აბასთუმანი, ეს კენინა მარამას, თქვა სანდრო ბესაშვილმა: ისე კარგათ არის, რომ ცნობა ვაგვიკრებდა!

— ე, ახლაც ეგერ მიდის მთაზე, შეხედე, რა ყოჩაღათ მიდის? ის უშიტელა, თუ ვილაც ეგრე-კი მოწვეია! უთხრა ნესტორმა ქიხოსროს და გახებდა მისისკენ. სწორეთ ამ დროს მარო და დათამ შედგომოდნენ მინისტრის გზას და მარო თითქმის სირბილით მიიღოდა. ქიხოსრომ ერთი-კი შეხებდა მაროს და დათამს და ისინი ტუქში დაიხმოდნენ. ცუცხლზე ნათ დასხმული ქიხოსრო მოშორდა იმათ და გადაწყვიტა დღესვე წაყვანა აქედან თავისი ცოლი.

— მეც შემოვალ, უთხრა დათამ მაროს, როცა უკანასკნელის ოთახთან მივიდნენ და ერთ წუთს შედგა მარო.

— ახა, რა საჭირო ხარ? შენს ოთახში წადი და იქიდან გეგდე ყური! უპასუხა მარომ და შევი-

და ოთხში. დათაღ შევიდა თავის ოთხში, და დაღ-
მა მაროს ოთხის კარებთან. ის გრძნობდა, რომ
საშინელი ქარშხალი უნდა ამტყდარიყო და იც-
დიდა, ამა როდის შევიქმნები საჭირო საყვარელ არ-
სებისთვისო. დიდხანსაც არ დასჭირდა ცდა დათას!..

XVI

— მობრძანდით, ქალბატონო!.. არ მომელოდით
განა? კბილების ბრკალით უთხრა ქაიხოსრომ ცოლს,
როცა დაინახა: არ ვიამთ ჩემი ნახვა? ხ, ხა, ხა, ხა,
როაც სახარლათ გადინახარა მან—ცუდ დროს
გაერწი და ხელი შევიწმალეთ, მაგრამ იმედა მპა-
ტივით, როგორც ქმარს..

— თქვენ მოდით, რა ვუყოთ, მაგრამ ეს რათ
აგინგრევიანებით აქაურობა? გააწყვეტინა მარომ და
უჩვენა ნივთებზე, რომლებსაც ალაკებდენ ზურობა
და ერთი სხვა ბიჭი.

— იმიტომ, რომ დღე მიეღვართ, ვითომ და-
მშვიდებით მიუფო ქაიხოსრომ.

— ეინ მიდის?

— ჩვენ ყველანი. გეყოთ აქ ყოფნა, ღვით
კარგათ ხართ ახლა და დროა, ოჯახიც მოიგონათ!

— თქვენ არც მოსვლა გიკითხავს ჩემთვის და,
რასაკვირველია, არც წასვლას მკითხავს; მე კი ჯერ
არსად არ მივდივარ, რადგან არ მინდა წასვლა, რო-
ცა ჩემი აქ ყოფნა საჭიროა და ოჯახში სულაც არა
დამჩინებია-რა, უთხრა მარომ.

— თქვენ რომ არ გინდით, მე მინდა! ხმას მო-
უმატა ქაიხოსრომ.

— ცუდათ გინებებით, რომ უჩემოთ გადაიწ-
ყვებოთ ჩემი საქმე, უთხრა მარომ და დაჯდა თა-
ვის ლოკინზე.

— ცუდათ არის თუ კარგათ, ის მე ვიცი...
თქვენითვის, რასაკვირველია, ცუდია, რადგან აღარ
შეგძლებათ თქვენ საყვარელთან თავისუფლათ ფარ-
ფარში!.. ლე-ში არ ენახო ის არამზადა ისა, თვარა
უწიტილობა კი არა, შეე ქვას მიეცემ თავში!..

— ნუ თუ იმ ზომამდისაც მიდით, რომ არ
გრცხენიანთ და ვიგინდარებთან ამისთანა სიტყვებს
მეუბნებთ? გააწყვეტინა მარომ.

— მე სასასიოცხო არაფერი დამიშვებია! სირ-
ცხელით თქვენ უნდა გრცხენოდესთ, რომ მთელი
აბასთუშანი თქვენზე ლაპარაკის მეტს არაფერს აც-
ვებთ, თითოთი საჩვენებლათ გადაქცულობართ!

— ვისაც რა უნდა, ის თქვას. ქვეყნის ლავამს
ვერავინ გაქედსო, ნათქვამია. ილაპარაკონ, სანამ ენა
არ დაეღალემათ!

— როგორ თუ ილაპარაკონ? დაიწყო ყვირი-
ლი ქაიხოსრომ: ეიზე ილაპარაკონ, ჩემ ცოლზე!..

თქვენ გაეწყვდებათ, მგონია, რომ ჩემ სახელს ვაძ-
რებთ!

— მე არ მოთავჯა თქვენითვის, თქვენი სახელი
მომეცით მეთქი და თუ ღირსათ არ მიგანვიართ
თქვენი სახელის ტარებისა, შეგიძლიათ, როგორც
მომეცით, ისევე ისე მიირთოთ! მტკიცეთ უპასუხა
მარომ. ქაიხოსრო გაიწმინდა და ევლარაფერი უთხრა
ამაზე. ამ დროს ბიჭებმა სხვა ნივთების ჩალაკება გა-
ათავეს და ქვეშაავების შეკვრას მიჰყვეს ხელი.

— ადექი, ბიჭებმა ქვეშაავები უნდა შეკრან!
როგორც კი შეეძლო ტკბილათ უთხრა ქაიხოსრომ
მაროს და მიუახლოვდა. მაროს შეეწინა ახლა ქმა-
რი, რომელიც აქამდის მხოლოდ ძულდა და გულ-
მოსულმა უპასუხა:

— გეუბნებით, რომ მე არსად არ მივდივარ
და არც ჩემს ქვეშაავებს შევაკრევიანებ ვისმე! ქაი-
ხოსრომ იკრძნო, რომ თავის მოკატუნებით და ეი-
თომ მოფერებით სულ ვერაფერს გააწყობდა, და
ისევე ძალას მიჰპართა.

— ადექი მეთქი ახლავი, თვარა არ ვიცი, არა!
წამოიძახა ქაიხოსრომ და მიიწია.

— თუ არ იცით, რა ჰქნათ, მე ვასწავლით ცი-
ვი წყალი დალიეთ და დამშვიდდებით! უთხრა მა-
რომ დაღინვის კილოთი და წამოიწია ქვეშაავებზე.

— როგორ, თავიმომეჭერი კაცს და ახლა დამცინი
კიდევ, შე უნამუსოვ? დაღირალია ქაიხოსრომ და
მივარდა მუშტი მოღერებულთ— ადექი! კიდევ უფრო
საწარლათ დაღირალია მან. მარო ხმას აღარ იღე-
ზდა, თითქოს გაქეცებულყო.

— მაშ არ გესმის ჩემი სიტყვა?.. გაგაგონებ!
ბრახმორეულათ წამოიძახა ქაიხოსრომ, მოაველო
მკელაზე ხელი და ააყენა. მარომ გაიბრძოლა და
ისევე დაელო ლოკინზე, ქაიხოსროს დაეიწყდა ყვე-
ლაფერი, კიდევ უფრო მაგრათ ჩაველო ხელი და
გაღმოაგდო ლოკინიდან.

დათას ესმოდა ყველაფერი, რაც ჰხდებოდა მა-
როს ოთხში, მაგრამ უკანასკნელ დრომდის თავს
იმაგრებდა. ქაიხოსროს უკანასკნელ სიტყვებს შემ-
დგე კი, რომელსაც მოჰყვა მაროს იატაკზე დაღე-
მის ხმა, ევლარა მოითმინა და ანგარიშ-მიუტყმლოთ
გაქეცა მაროს ოთხისკენ. პირველი საგანი, რო-
მელსაც ოთხში შეესვლისთანავე თვალი მოჰკრა
დათამ, იყო ქაიხოსროს უშველებელი სამხედრო რე-
ვოლუერი. დათამ დაველო ხელი ამ რევოლერს და
შეიარდა მოფარდაგებულსო, სადაც იდგა მაროს
ლოკინი. დათა სწორეთ მაშინ შევიდა მაროს სა-
წოლში, როცა გაბოროტებულმა ქაიხოსრომ ჩამო-
დენიმეჯერ ჩაქრა მუშტი იატაკზე დაგდებულ
ცოლს.



— აბა მოვიდეს და გიშველოს ახლა შენმა მე-
რცხალადემ! ღრიალებდა გააფთრებული ქაიხოსრო
და ურტყამდა მაროს.

— აბა თუ ვერ ეშველი! ვაისმა ამ ღროს
დათას ღრიალი საშინელი ხმით და იგრიალა რე-
ვოლევრმაც.

— მოჰკლა იმ წყეულმა! ერთი კი დაიძახა ქა-
იხოსრომ და წაიქცა მაროს გვერდით.

ეს ყველაფერი ისე უცებ და ისე მოულოდნე-
ლათ მოხდა, რომ ზურაბას და მეორე ბიჭს, რომე-
ლნიც იქ იყვნენ, ვერც კი გამოერკვიათ, რა იყო, და
გაშტერებულნი იდგნენ ერთ ადგილზე, სანამ რე-
ვოლევრის ხმაზე სხვები და სავათა შორის, ჩეე-
ნი ღვე-გმირებიც არ შემოაკვირდნენ ოთახში.

— მოჰკვიდ მტარვალთ? წამოიძახა დათამ, რო-
ცა კვამლი გაიზნა და ქაიხოსროს უსულო გავის
შეგზნდა თავის სისხლშივე მცურავეს. მერე რაღაც
საშინელ ძალა-მოკემულმა გავლოჯა კარები, რო-
მლებაც მაროს ოთახიდან მის ოთახში გადიოდა,
აიყენა გონ-მიხდილი მარო და გაიტანა თავის ოთა-
ხში, სადაც თავის ლოკინზე დააწვინა.

— როგორ გაშტერებულხართ? მოუბრუნდა
დათა შემასულებს, რომელნიც თანდათან მატუ-
ლოდნენ: ზოგმა პოლიციას შეატყობინეთ, რომ მე
მოკვალი ქაიხოსრო გოჯასპირიძე, და ზოგმაც ექი-
მები მოიყენეთ ავთომყოფისთვის! მერე ისევ მარო-
სთან მივიდა, დაიჩოქა მის წინ და დაუწყო კოცნა
იმ ადგილებზე, რომლებზედაც აინდა ქაიხოსროს
ხელები. დათა პირველათ ჰკოცნიდა დღეს ქალს
პირზე შემდეგ დედისა და უნდოდა ამ კოცნაში ჩა-
ეღია თავისი სული და გული. მარო მოვიდა გონს
და შეგზნდა დათას.

— მოჰკვდა? ამოიკენსა მან.

— მოჰკვდა; აწი თავისუფალი ხარ მიუგო
დათამ.


— შენც რომ დაიღუპე?

— რა ვუყოთ? მე მაინც დაღუპული ვიყავი,
რადგან არაფრის გაკეთება არ შემეძლო, და შენ
რომ გვაგათვისუფლენ იმ მტარვალისაგან, ესეც კმა-
რა! მარომ აღარაფერი უთხრა და მხოლოდ
შეგზნდა დათას, მაგრამ ყველაფერი, რასაც მა-
შინ ვგრძობდა მარო, ამ შეხედვაში გამოსჭვირდა.

ამ ღროს შემოგარდა ოთახში პატარა დათი-
კო და მიეკრა გულზე დედას. მარომ მაგრათ მო-
ხვია ხელი თავის ერთათ ერთ იმედს და ჩაიკრა გუ-
ლში. ამასობაში ექიმი და პოლიციის ბოქაულიც
მოვიდნენ. პირველმა დაამტკიცა, რომ ქაიხოსრო
მაშინვე მოკვლა ტყვიას, რომელსაც გული ჩამტე-
რია სრულიად და ფლტევიც დაეგლოჯა, და დაუ-
წყო სინჯვა მაროს! მეროვმე კი დააპატიმრა დათა
და შეუდგა საქმის გამოძიებას, სანამ ახალციხიდან
მაზრის უფროსი და გამომძიებელი, რომელთაც ღე-
პეშით აცნობა ყველაფერი, რაც მოხდა, მოვიდო-
დნენ.

მეორე დღიას დათა ახალციხის სამაზრო საპა-
ტიმროში გავზავნეს, სიდანაც თბილისში უნდი გავ-
გზავნათ, მარო კი მიმივე ავთომყოფი შეიქნა, თუმ-
ცა სასიკვდილო არა უჭირდა-რა, როგორც ექიმები
ამბობდნენ. ახლა, თუ გულით არა, გარეგნათ მაინც
ყველა სწუნდა აბასთუმანში და იბრალებდა, რო-
გორც მკვდარს, ისე ცოცხლებს, მაგრამ რალა ღროს?
თვითონ გურგენ გურგენიძეც, რომელიც მხოლოდ
კომედიას ელოდა და არა ტრაგედიას, ამ საშინელი
ამბის მეორე ღღესვე გაქჭრა აბასთუმანდან. ვითომ
სინიღისმა შეაწუხა?..

დუგუ შეგრული.



მოკლე ბასუხი ბ. გ. იაკობაშვილის



მ წლის „კვალის“ № 32-ში დაბეჭდილია
ლია წერილი ბ. იაკობაშვილისა, ჩემდამო მო-
მართული. ბ. იაკობაშვილი გვთხოვს, დაუმ-
ტკიცოთ მას შემდეგი ჩვენ მიერ ამ წლის „ივრის“
№ 102-ში წარმოთქმული აზრი: „აღიკვლია გიორ-

გი საჯაჲ გერ იენო თანამედროვე საზოგადოებამ და
ეს ქართული მრავალწამკული ალკადა მრავალ გზის
განიადგნა სამოალოდან და სხვა...“ მოკლე წერი-
ლით ჩენნი აზრის დასაბუთება არ შეიძლება; ამ
შემთხვევაში ჩენნი აზრი უსაფუძველოთ დარჩება:
ამ აზრის დასაბუთებლათ მთელი ტომებია საკი-
რო. ჩვენ ამ ქვათ ვამაზდებთ ერთ გველე თხზუ-
ლებას საქართველოს ერთი გენიოს შეფის და
იმის ღროის შესახებ,—ამ თხზულების დათავებას

შემდეგ ჩვენ გვსურს შევამუშავოთ გიორგი სააკაძის ცხოვრების ისტორია. ამ ცხოვრების შესახებ ზოგიერთი ცნობები, რომელნიც ხელთ ქვეშ გვაქვს, უკვე კრიტიკულად განხილული და დაუასებული გვაქვს. ჯერეთ ჩვენი აზრი გიორგი სააკაძის შესახებ ჭეშმარიტებათ მიგვაჩნია და იმის მიღებას არავის ვეაღებთ. როცა ერთად თავს მოეყურით ყველა ცნობებს იმის შესახებ და მათ უფრო ღრმად შევისწავლით, ვინამ დღეს გვაქვს შესწავლილი, შეიძლება, ჩვენი აზრი ამ პირის შესახებ შეიცვალოს; მაშინ საქირთთ აღვიარებთ ჩვენს შეცდომას, ვინაოდან მომაცდვას არსებას ხშირად მოდის შეცდომა ცხოვრების კრების სარბიელზე. არ შეგვიძლია აქვე არ ეურჩიოთ მეგობრულად ბ. გ. იაკობაშვილს და მის წერს „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს კრიტიკული თვლით შეხედონ, — ეს ცნობები მათ აქსიომად ნუ მიჩნიათ; აგრეთვე საქამო არა მხოლოდ ბ.

მოსე ჯანაშვილის „საქართველოს ისტორიის“ წიკითხვა, რომ შევიგნოთ საფუძვლიანად გიორგი სააკაძის, ამ მხელად გამოსაგნობის ისტორიული სფინქსის ცხოვრება. ბ. იაკობაშვილი დიდის სიკრთხილით უნდა მოეკიდოს იმ უტყუარ ფაქტებს, რომლებზედაც ამყარებს თვის მსჯელობას ამ პირის შესახებ. სად არის ჯერ ისეთი „საქართველოს ისტორია“, რომელიც ასეთ ფაქტებს იძლეოდა; და რომლის წაკითხვას შემდეგ მკითხველი დარწმუნდეს, რომ გიორგი სააკაძე ალკივიადის აჩრდილიც არ ჰყოფილა?! ერთი რიგანი ისტორია არ მოგვეპოვება ჯერ-ჯერობით, — ბაქრადე და სხვა ჩვენი ისტორიის მკვლევრნი და მოყვარულნი „წინამორბედნი“ არიან მომავალი ქართველი ისტორიკოსისა, რომლის მოსვლას ველით, ვითარცა ქველი კაცობრიობა მოელოდა მაცხოვრის დაბადებას.

ინ-ფარი



ო. თ. კახი. თითქმის წელიწად ნახევარი იქნება მას აქეთ, რაც აქაური შკოლის მასწავლებლის ხუციშვილის სახელში ნათლობა იყო. ნათლობაზე დაბატყებული იყენ მთელი კახის განათლებული საზოგადოების წევრნი, როგორც სამღვდლონი, ისე სამოქალაქო პირნი. იმ დროს კითხვა ქართველ დედათა შკოლის დაარსებაზე ახლათ იყო აღძრული და შკოლის დამაარსებელი ქალთა კომიტეტი იწვევდა, კეთილ მოაზრე ქართველთა თანაგრძნობა გაეწიათ ამ კეთილის საქმისათვის და შეძლებისა-და-გვარათ შემოიწირულება გაეგზავნათ „კვალის“ რედაქციაში ამ კომიტეტისათვის. თითქმის სუყველას ჩვენი განათლებული საზოგადოების წევრთაგანს ერთ ნაირად უნდოდა მოთაგობა გაეწია და ამ შეენიერ საქმისათვის ხელის მოწირით ფული შეეკრიბა. უკეთეს დროს და შემთხვევას ვერ ვიპოვიდით. სუფრაზე ჩამოვარდა ლაპარაკი ამ მომავალ შკოლაზე და თან მოჰყვა გულის სიღრმიდან ამოსული სიტყვები: „მოდი ამ საქმისათვის შეწირულდება შეგკრიბითო“. თქმა და ასრულ

ლება ერთი იყო. განძა თაბახი ქალაღი და ჩამოურთიკეს სუფრაზე მსხდომთ. გაიშართა ხელის მოწერა. საქმის მოთაგობა და ფულის შეკრება დაუთმეს ს. აღიბეგლას მღვდელს დიმიტრი ჯანაშვილს. თეით მღ. ჯანაშვილმა შესწირა მ მანათი; კახის მახრის უფროსმა ბ. გველესიანმა მ მან; მისმა მეუღლემ 1 მან; ბლაღოჩინმა მღვდელმა ირ. ოკროპი პირიძემ მ მან; მისმა მეუღლემ 1 მან; სახლის პატრონმა ბართლომე ხუციშვილმა მ მან; და სხ... სულ ფული შედგა, მგონი, მ მანეთი. ზოგს ხელათ არა ჰქონდა ფული და მღ. დიმიტრი ჯანაშვილს უნდა შრომა გაეწია და მერე მოეგონებინა. სუფრაზე, როგორც საზოგადოთ ჩვეულია, ბევრი კარგი სადღერტელოები წარმოითქვა საქართველოზე, მის განათლების მხრივ კეთილ წარმატებაზე და სხვა. ეს წელიწად ნახევარი გამოვიდა მას აქეთ და სუყველანი თვალს ვადევნებთ „კვალის“ ნომრებს, რომლის რედაქციისათვის უნდა გაეგზავნა მღ. დიმიტრი ჯანაშვილს შეკრებული ფული, მაგრამ რედაქცია არავფრის ამ ფულის მიღებაზე არ

აცხადებს. გვიყვარს სუყველა შემწიროვლო, რატომ აქამდის არა გზანის იმ ფულს თავის ადგოლას ეს პატიოსანი მამა? როცა ვისმე უკითხავს მღ. ჯანაშვილისათვის, „რა ქენით, მამო, გავზანეთ შეკრებილი ფული რედაქციაში, თუ არა?“, ამ პატიოსან მამას ეს პასუხი მიუცია: „არა, მე მინდა, ერთი ორას მანათამდე შეგვკრიბო კახის ბაზრელ სომხებში, ნუხში და ზაქათალში და და გავუზანო“. კარგი და პატიოსანი, მამო დიმიტრი, თუ რომ ეგ სიტყვის ფანდა არ არის. ზაქათალში და ნუხშიც რამდენჯერმე ყოფიხართ და კახის ბაზრელ სომხებში ხომ სულ ყოველ დღე მუსაფობთ, მაგრამ ერთი გროშიც ვერ შეგვკრიბებთ და თუ შეგვკრიბებთ რასმე, ექვებ, რომ იმასაც ეგ დღე არ მოუუდებს. ისა ჯობდა, ჯერ რაც შეკრიბეთ, ის გავუზანეთ და მერე თუ შეიძლებდით და სომხებშიც შეჭკრებდით, იმისთვის ცალკე მადლობას მიიღებდით.

მაგრამ იქნება, მამო დიმიტრი, ახლახან ხსიანთი შეიცვალეთ, საქვეყნო აღარ ყვირით თქვენ

კეთილმოღვაწეობაზე, ჩუმათ ფული შეკრიბეთ და ჩუმათე გავზანეთ? არა გვეჯერა ესეცა და ეთხოვთ „ეკლის“ რედაქციასაც და შკოლის დამარსებელ ქალთა კომიტეტსაც გამოაცხადონ, მიუღიან მღღე ქალი დიმიტრი ჯანაშვილისაგან შემოსხნებული ფული თუ არა? თუ არ მიუღიან, მაშინ თვით რე აქციამ, კომიტეტმა და ქართველ მკიცველ საზოგადოებამ დააღოს ამ საქციელს ღირსეული ფასი, ხოლო მღ. ჯანაშვილმა თვითონვე მონათლოს და სახელი უწოდოს მას. *)

ერთი შემწიროვლოვანი

*) „ეკლის“ რედაქციას არ მიუღია შემოსხნებული ფული.

რედ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

განხილვა

ქართული წიგნების გამოცემაზე.

ამ წლის შემოდგომიდან ვიწყებთ ჩვენ ქართული საგანძობო და სასახლო წიგნების გამოცემას. ჩვენნი მიზანია—მიეწოდოთ ქართველ საზოგადოებას და მოზარდ თაობას იაფი და ადვილ-გასაგები წიგნი დაწერილი უკეთესი თხზულებანი ყველა საგნიდან და მკაცრებიდან. წიგნები იქნება უხუთ დასურათებული და უკეთეს ქალაქზე დაბეჭდილი. თვეში გამოვა არა ნაკლებ თითო წიგნისა და ზოგჯერ ორორიც. იმედს გვაქვს, რომ ქართველი საზოგადოებანი ხელს მოეც-მართავს ამ ახალ საქმეში და შეგვძლებინებს კეთილათ დაეაგვირგვინონ რგი.

ფასი გამოცემისა და თვითონ წიგნების სახელეზი გამოცხადებული იქნება თავის ღრავზე.

ავტორების საყურადღებოთ. ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ჩვენნიერ დაწეულ საქმეში, ეთხოვთ მოგვაწოდონ ხელ-ნაწერები ცალკე წიგნე-

ბათ გამოსაცემათ ხელ-ნაწერები უნდა იყოს: მატრეპისთვის—არა უმეტეს 2—ს ჩვეულებრივი თაბახისა და ისე დაწერილი, რომ შეიძლებოდეს აღწერილის დასურათება, და დიდებისთვის—არა უმეტეს

—8 თაბახისა. ყველა ავტორი მიიღებს ჩვენგან 2—3 კაპიეტსა ყოველ დაბეჭდილ სტრიქონში, თუ საჭირო იქნება, ხელ-ნაწერს შევასწორებთ და შევამოკლებთ. ვისაც ჰსურს, შეუძლია დაგვეკითხოს, თუ რა წიგნი შეადგინოს ანუ გადათარგმნოს. თუ არ მოეპოება რომელიმე წიგნი, შეუძლია ჩვენგან დაინბაროს. ეს წიგნები მთხოვნელს გავუზანება ფასდაღებულ ამანათით. პასუხისთვის ეთხოვთ გამოგზავნონ 7 კაპიეტისი მარკა.

გვანი ადრესი: Въ г. Тифлиси, Ивану Павловичу Ростовову.

ი. რასტორსკიელი.